24. თუ საწარმომ სამუშაო შესარულა ხელშეკრულების პირობებისაგან გადახვევით, რამაც გააუარესა სამუშაო, ან დაუშვა სხვა ნაკლოვანებანი მუშაობაში, შემკვეთს უფლება აქვს თვითი არჩევანით მოითხოვოს ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა უსასყიდლოდ გამოსწორება შესაბამის ვადაში ან დაშვებული ნაკლოვანებების თავისი სახსრებით გამოსასწორებლად შემკვეთის მიერ გაწეული სათანადო ხარჯების ანაზღაურება, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემკვეთის ასეთი უფლება, ან სამუშაოსათვის კუთვნილი გასამრჩევლოს შესაბამისი შემცირება. ამასთან საწარმო უხდის შემკვეთს პირგასამტეხლოს დაწესებული ოდენობით.

25. საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა შემკვეთის მიერ წარდგენილი მასალის (ნედლეულის, ნაწარმ-ნაკეთობის) არასწორი გამოყენებისათვის;

სამეცნიერო დამთავრების ან შეკვეთის გაუქმების ღრის საწარმო შეა-
ლეა დაუბრუნოს შემკვეთს მასალის (ნედლეულის, ნაწარმ-ნაკეთობის) ნაშთი,
ანდა მთელი მასალა (ნედლეული, ნაწარმ-ნაკეთობა), თუ საწარმოს არ დაუწყია
შეკვეთის შესრულება.

26. საწარმოს ეკისრება პასუხისმგებლობა შეკვეთის შესრულებისას გამოსაყენებელი შემქვეთისათვის წარდგენილი მასალის (ნედლეულის, ნაწარმ-ნაკეთობის) ხარისხისათვის და მოვალეა თავის ხარჯით შეცვალოს იგი შემქვეთის მოთხოვნით, თუ მასალა (ნედლეული, ნაწარმ-ნაკეთობა) ონბარის აღმოჩნდება.

27. საწარმოს მიერ დამზადებულ და შეკეთებულ ნაწარმ-ნაკეთობათა ნიშანდება და შეფუთვა ხორციელდება საწარმოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტითის მოთხოვნების შესაბამისად.

28. დამზადებული და შეკეთებული ნაწარმ-ნაკეთობანი, შეკეთებული საყოფაცხოვრებო მანქანები და ხელსაწყოები, რადიოელექტრონული პარატურა უნდა შემოწმდეს შემკვეთის თანდასწრებით. ამასთან საწარმო წერილობით აცნობებს შემკვეთს დამზადებულ და შეკეთებულ ნაწარმ-ნაკეთობათა, შეკეთებულ საყოფაცხოვრებო მანქანათა და ხელსაწყოთა, რადიოელექტრონული პარატურის საგარანტიო ვადებს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად. შემკვეთი მოვალეა მიიღოს და გასინჯოს საწარმოს მიერ ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული სამუშაო.

თუ შემკვეთი სამუშაოს მიღებისას (ნაწარმ-ნაკეთობებისათვის, რომელთაც არა აქვთ საგარანტიო ვადა) დაუყოვნებლივ არ განუცხადებს საწარმოს მისი შესრულების ხელშეკრულების პირობებისაგან გადახვევის შესახებ, იგი უფლებას კარგავს შემდგომ მიუთითოს ეს გადახვევები. შეკვეთის შესრულებისას ხელშეკრულების პირობებისაგან დაშვებულ გადახვევათა და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც არ შეიძლებოდა გამოვლენილყო ჩეცულებრივი წესით სამუშაოდ მიღების დროს, შემკვეთი მოვალეა ეცნობოს საწარმოს დაუყოვნებლივ მათი გამოვლენისთანავე.

29. შემკვეთი ქვითარები ან სხვა სააღრიცხვო დოკუმენტში ხელმოწერით ადასტურებს შესრულებული მომსახურების ანაზღაურებას (ნაწარმ-ნაკეთობის მიღებას). თუ საწარმო ამონაგდის ფიქსირებული თანხით შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სახელშეკრულებო ფორმის პირობებით მუშაობს, აგრეთვე სამუშაოებისათვის, სადაც სააღრიცხვო დოკუმენტები არ გამოიყენება, შემკვეთის მიერ მომსახურების ანაზღაურების (ნაწარმ-ნაკეთობის მიღების) წერილობითი დადასტურება საჭირო არაა.

საწარმო საშუალებას აძლევს შემკვეთს გამოთქვას აზრი მისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის შესახებ.

30. თუ დაქარგეს დაწესებული ფორმის დოკუმენტს, რომელიც აღასტურებს საწარმოს მიერ შეკვეთის მიღებას, შემქვეთი მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ საწარმოს, რომელმაც მიიღო შეკვეთა.

ამ შემთხვევაში შეკვეთაში აღნიშნული ნაწარმ-ნაკეთობა გაიცემა შემკვეთის წერილობით განცხადების საფუძველზე, პასპორტის ან მისი ვინაობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარდგენით, ხოლო შეკვეთებულ სატრანს-



პორტო საშუალებათა ქვითრის დაყარგვისას, გარდა ამისა, საჭიროა მართვა მომავრების დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იგი ეკუთვნოდა შემკვეთს.

31. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ გამოცხადდება ნაწარმ-ნაკეთობის მისაღებად, საწარმოს უფლება აქვს დაწესებული ფორმის დოკუმენტით განსაზღვრული შეკვეთის შესრულების ვადის დამთავრების დღიდან ექვსი თვის გასვლის და ორგზის წერილობითი გაფრთხილების (შეტყობინებით) შემდეგ გაასალოს ნაწარმ-ნაკეთობა დადგენილი წესით, ხოლო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა საწარმოს კუთვნილი გადასახდელის (მათ შორის შეკვეთის შესრულების თაობაზე შემკვეთის შეტყობინების და მისი შენახვის ხარჯები) გამოკლებით შეიტანოს სანოტარო კანტორის დეპოზიტში შემკვეთის სახელშე.

IV. ანგარიშსწორება შემკვეთთან

32. საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამუშაოთა ღირებულებას შემკვეთი ანაზღაურებს დადგენილი წესით დამტკიცებულ ფასებში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეული, ერთეული ხასიათის სახეობებისათვის, რომელთაც უწევენ მოქალაქეებს ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით და გათვალისწინებული არა მოქმედ პრეისკურანტებში, ფასებს აწესდს საწარმოს ხელმძღვანელი შემკვეთთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმო შემკვეთის თხოვნით შესრულებს შეკვეთის გაფორმებისას გაუთვალისწინებელ მომსახურებასა და სამუშაოს, მათ ღირებულებას ანაზღაურებს შემკვეთი დამატებით, დადგენილი წესით.

საწარმოს ღაუტვირთობის პერიოდში მოსახლეობის მოთხოვნილების სტიმულირების მიზნით მას უფლება აქვს მისცეს დადგენილი წესით შემკვეთს სეზონური შეღავათები მომსახურების საპრეისკურანტო ფასებიდან.

33. საწარმოს იმ მასალების (ნედლეულის, ნაწარმ-ნაკეთობის) ღირებულებას, რომელიც გამოყენებულ იქნა მომსახურების გაწევისას და შეტანილი არ ყოფილა მომსახურების ღირებულებაში, ანაზღაურებს შემკვეთი დამატებით, მოქმედ საცალო ფასებში, ხოლო მათი არარსებობისას — ასეთი მასალების საცალო ფასების განსაზღვრისათვის დადგენილი წესით (მთლიანად შეკვეთის გაფორმებისას).

საწარმოს შეუძლია გაუწიოს შემკვეთს მომსახურება სამუშაოთა შესასრულებლად იმ პირობით, რომ მან აანაზღაუროს საწარმოს მასალების ღირებულება ნისიად, დადგენილი წესით.

34. თუ საწარმო არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, პრეისკურანტებით გათვალისწინებული დანამატები (დამატებითი ანაზღაურება) საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის განსაკუთრებული პირობებისა და დამატებითი სახეობებისათვის არ გაიცემა. ამასთან საწარმო შემკვეთს უხდის საურავს შეკვეთის შესრულების ვადის დარღვევისათვის, ხოლო შეკვეთის უხარისხოდ შესრულებისათვის — პირგასამტეხლოს დაწესებული ოდენობით.

35. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება ანაზღაურდება, როგორც წესი, შეკვეთის შესრულების შემდეგ.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული შემკვეთის ცალკეული სახეობებისათვის მათი ღირებულება შეიძლება აანაზღაუროს შემკვეთმა ხელშეკრულების დადებისას ნაწილობრივ ან მთლიანად.

შემკვეთის უფლება აქვს თავისი სურვილისამებრ აანაზღაუროს ნებისმიერი მომსახურების ღირებულება შემკვეთის გაფორმებისას.

მომსახურების აანაზღაურება შეიძლება სსრ კავშირის შემნახველი ბანკის ჩეკებით ან მოსახლეობის ანაბრების მიხედვით ანგარიშებიდან თანხების გადარიცხვით.

36. საწარმოს მიერ დამზადებულ და შეკეთებულ ნაწარმ-ნაკეთობათა საგარანტიო ვადები განისაზღვრება მოქმედი სტანდარტებით, ტექნიკური პირობებით და გამოიანგარიშება შეკვეთის მიღების დღიდან, ხოლო შემკვეთის მიზნებით მათი ორადროული მიღების შემთხვევაში — შეკვეთის შესრულების ვადის ხელშეკრულებით დაწესებული დღიდან.

დროულად შეკვეთილ სეზონური დანიშნულების ნაწარმ-ნაკეთობებისათვის საგარანტიო ვადები გამოიანგარიშება შესაბამისი სეზონის დაწყებიდან, რომლის დროს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აღილობრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე.

V. ქონებრივი პასუხისმგებლობა

37. შემკვეთის უფლება აქვს პრეტენზიები საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის გამო წარადგინოს შეკვეთის მიღებისა და გაცემის ადგილზე დაწესებული საგარანტიო ვადების განმავლობაში, ხოლო ნაკეთობებისათვის, რომელთაც საგარანტიო ვადები არა აქვთ, — კანონმდებლობით დაწესებულ ვადებში.

თუ მუშაკი არ გამოცხადდება ბინაზე მომსახურების შესასრულებლად შემკვეთთან შეთანხმებულ დროს, შემკვეთის უფლება აქვს წარუდგინოს საწარმოს მოთხოვნა მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის აანაზღაურების შესახებ დადგენილი წესით.

38. შემკვეთის პრეტენზია საწარმომ უნდა განიხილოს დაუყოვნებლივ, ხოლო დამატებითი შესწავლისა და შემოწმების უცილებლობის შემთხვევაში — პრეტენზის მიღების დღიდან 15 დღის განმავლობაში.

39. სარჩელი ხელშეკრულების პირობებისაგან საწარმოს გადახვევების გამო, რამაც გააუარესა სამუშაოს ხარისხი, ან სხვა ნაკლოვანებათა თაობაზე შემკვეთს შეუძლია წარადგინოს 6 თვის განმავლობაში სამუშაოს მიღების დღიდან, ხოლო თუ ნაკლოვანებათა გამოვლენა არ შეიძლებოდა სამუშაოს მიღების ჩვეულებრივი წესით, — ერთი წლის განმავლობაში სამუშაოს მიღების დღიდან.

სარჩელი სამუშაოს მიღების ჩვეულებრივი წესით შენობასა თუ ნაგებობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამო შემკვეთს შეუძლია წარადგინოს სამი წლის განმავლობაში სამუშაოდ მიღების დღიდან.

თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საგარანტიო ვადა და განცხადება სამუშაოს ნაკლოვანებათა გამო შეტანილია საგარანტიო ვადის ფარგ-

ლებში, სასაჩრელო ხანდაზმულობის ვადის მიმღინარეობა იწყება განკუთხული ბათა შესახებ განცხადების შეტანის დღიდან.

40. საწარმოს მიერ შეკვეთის შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში იგი უხდის შემკვეთს საურავს სამუშაოს ლირებულების 1 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომსახურების იმ სახეობებისათვის, სადაც სამუშაოს ლირებულება ცალკე არ განისაზღვრება, — შეკვეთის ლირებულების 1 პროცენტის ოდენობით ყოველი ვაღავადაცილებული დღისათვის, მაგრამ შესაბამისად სამუშაოს ან შეკვეთის ლირებულების არა უმეტეს 50 პროცენტისა.

41. შეკვეთის უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში საწარმო უხდის შემკვეთს პირგასამტებლოს სამუშაოს ლირებულების 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომსახურების იმ სახეობებისათვის, სადაც სამუშაოს ლირებულება ცალკე არ განისაზღვრება, — შეკვეთის ლირებულების 20 პროცენტის ოდენობით.

42. საწარმო, რომელმაც ღავრება (გააფუჭე) მთლიანად ან ნაწილობრივ შემკვეთის კუთვნილი ნაწარმ-ნაკეთობა (მასალა, ნედლეული), მოვალეა სამი დღის ვადაში შეკვალოს ეგი ასეთივე ნაწარმ-ნაკეთობით (მასალით, ნედლეულით), ანდა აუნაზღაუროს შემკვეთს მიყენებული ზარალი და ვაღავადოს პირგასამტებლო საქართველოს სსრ კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით.

43. საწარმოსა და შემკვეთს შორის წამოჭრილი დავა წყდება სასამართლო წესით.

87 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საჯაროობითან, დაწმენდებულებით და მოვალეობითან, მიუხედავად უწყებრივი დაკვემდებარებისა, დალებულ ხელშეკრულებათა მიხედვით საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საჯაროობის მიერ გამოყოფილი მსუბუქი ავტომობილებით სარჩებლობის ტარიფების უსახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ ვ ე ნ ს:

დამტერიცეს და შემოლებულ იქნეს სამოქმედო 1989 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მიუხედავად უწყებრივი დაკვემდებარებისა, დალებულ ხელშეკრულებათა მიხედვით საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის თანდართული ტარიფები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირავიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

№ 4
დაგთიცილებულის
საქართველოს სსრ მინისტრის
1988 წლის 22 დეკემბრის № 382 დალ-
ტუნილებით

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, მიუხედავად უწყებრივი დაქვემდებარებისა, დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმო-ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობისა

1. მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობის გადასახდელი გამოიანგარიშება 1 საათით სარგებლობისა და 1 კილომეტრი გარენისათვის ავტომობილის მარკის შესაბამისად შემდეგი ოდენობით:

ავტომობილის მარკა	შტატიანი მძლოლით გამოყოფისას		შტატიანი მძლოლის გარეშე გამოყოფისას	
	1 საათით სარგებლობისათვის (შპნ. და კპ.)	1 კილომეტრი გარენისათვის (კპ.)	1 საათით სარგებლობისათვის (შპნ. და კპ.)	1 კილომეტრისათვის (კპ.)
გპჩ-24 (ყველა მოდიფიკაციისა) „ვოლგა“, უპზ-469 (ყველა მოდიფიკაციისა)	2-00	7	0-65	7
გპჩ-3102 „ვოლგა“	2-10	7	0-70	7
გპჩ-13 და გპჩ-14 „ჩინკა“ „მოსკვიჩი“, „ეიტული“	4-00 1-90	20 7	— 0-60	— 7

2. კვირა დღეებში და დღესასწაულებზე მსუბუქი ავტომობილის გამოყოფისას მისი ერთი საათით სარგებლობის გადასახდელი, რაც გათვალისწინებულია ამ განაყოფის 1-ლი პუნქტით, დიდღება 60 პროცენტით.



88

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავზის მინისტრის
სამმართველოს გაუქმების შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის გენერალური სქემის შესახებ“ სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 მაისის № 684 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თევზის მეურნეობის სამმართველო და საქართველოს შინაწყალსატევების თევზის რესურსების კვლავწარმოების ფუნქციები გადაეცეს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვეს.

2. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვე (ამხ. მეცნაძე) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადაღება გაუქმებული სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე შესაბამისი სამსახურის შექმნის შესახებ.

3. ძალადაყარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 პრილის № 152 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირქევია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ქ. თბილისი, 1988 წ. 25 აგვისტო, № 387

89

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფახურთელთა დილმის საჭრო-
ნელი გაზისათვის ა. დ. ზორდანიას სახელის მიკუთვნების ში-
სახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, ფიზიკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინა-
მოს“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს შუამდგომლობა და მიეკუთვნოს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა დილმის საწერთნელ ბაზას საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ანდრო დიმიტრის ძე უორდანიას სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირქევია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აგვისტო, № 396

90 პროცესორ კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის მინიჭების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღ გ ე ნ ს:

დამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საწარმოო გაერთიანება „საქველოგიის“ მიერ წარმოდგენილი დებულება პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ო. ჩერქეზია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 ივნისტო, № 397

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 29 ივნისტოს № 397 დადგე-
ნილებით

დ ა ბ უ ლ ე ბ ა

პროფესორ კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

1. პროფესორ კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნიას სახელობის პრემია 2 ათასი მანეთის ოდენობით დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 აპრილის № 204 დადგენილებით და მიერიქებათ სპეციალისტებს სამ წელიწადში ერთხელ საქართველოს სსრ გეოლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისადმი მიძღვნილი საუკეთესო ნაშრომისათვის, რომელ საც დიდი სახალხო-სამეცნიერო და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

2. პრემიას ანიჭებს საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება გეოლოგის საკავშირო დღესთან დაკავშირებით.

კონკურსი, რომელიც არ გაიმართა დაწესებულ ვადაში, გაუქმებულად ითვლება და მომდევნო წლისათვის არ გადაიტანება.

3. საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება პროფესორ კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გეოლოგის საკავშირო დღემდე ექვსი თვით ადრე რესპუბლიკის პრესაში აქცევენდს სათანადო განცხადებას კონკურსის მოწყობის შესახებ, ხოლო მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა.

თუ ანიშნული ვადისათვის არ იქნა გამოქვეყნებული განცხადება კონკურსის შესახებ იმ წელს კონკურსი არ გაიმართება.



4. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორუც ფულები ეულ ავტორთა, ისე ავტორთა კოლექტივის შრომები.

კოლექტიური ნაშრომებისათვის პრემია მიენიჭებათ ნაშრომის ხელმძღვანელებსა და ძირითად შემსრულებლებს, რასაც დაადგენს წარმომდგენი ორგანიზაცია და საექსპერტო კომისია.

კოლექტიური ნაშრომის თანაავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 7 კაცს.

სხვადასხვა ნაშრომისათვის მინიჭებული პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაჩიებელს შორის არ შეიძლება.

5. პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს სსრ საწარმოო-გეოლოგიურ, სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო ან სხვა დაწესებულებაში გეგმით, გეგმის გარეშე, ან ცალკეულ პირთა მიერ საქართველოს გეოლოგიისა და სასარგებლო წილისეულის საკითხებზე.

6. პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:

წინა სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, გეოლოგიური, ტექტონიკური, მეტალოგენიური, ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სხვა ხასიათის გამოცემული რუკები განმარტებითი ბარათებითურთ, ან სასარგებლო წილისეულის საბადოთა მარაგების სახელმწიფო ან ტერიტორიული კომისიის მიერ პრობირებული გეოლოგიური ანგარიშები მარაგების დამტკიცებით, აგრეთვე გეოლოგიური ორგანიზაციების სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოებზე დაცული გეოლოგიური ანგარიშები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს და დიდი პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვთ.

7. კ. ე. გაბუნიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად არ მიიღება ნაშრომები, რომლებსაც მიენიჭათ ლენინური პრემია, საქავშირო ან რესპუბლიკური სახელმწიფო პრემია, აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ან მოკავშირე რესპუბლიკათა აკადემიების, დარგობრივი აკადემიების და სხვა უწყებათა პრემიები.

ერთსა და იმავე პირს პრემია მეორედ არ მიენიჭება.

8. შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოადგინონ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, უმაღლესმა სასწავლებელმა, საწარმოო-გეოლოგიურმა ორგანიზაციამ, სამეცნიერო საზოგადოებამ, უწყებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ან სათანადო დარგის წამყვანმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა.

9. იმ ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა პირებმა, რომლებსაც პრემიის მოსაპოვებლად კანდიდატი წამოაყენეს, საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალა (წარწერით: „კალისტრატე გაბუნიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“):

ა) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულსა და პრაქტიკულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერებისა თუ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის;



ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ან საწარმოო-გეოლოგიურ უკანასკნელი სამ ცალად;

გ) მონაცემები ავტორის (ავტორთა) შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის აღგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი);

დ) ცნობა იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პრემია, რასაც გასცემს კანდიდატურის წარმდგენი ორგანიზაცია ან პიროვნება.

10. საქონეურსოდ შემოსული ყველა ნაშრომის, მეცნიერულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას აფისებს და პრემიის მისანიჭებლად კანდიდატებს რეკომენდაციას უწევს საექსპერტო კომისია, რომელიც ყოველი კონკურსისათვის შეიქმნება საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებაში და რომლის შემადგენლობაში გათვალისწინებულია „საქვეოლოგიის“ არანაკლებ ერთი მესამედი წარმომადგენლობა.

11. საექსპერტო კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი სათანადო მასალების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

12. საექსპერტო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

საექსპერტო კომისია რეკომენდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით.

გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის წევრთა სიობრივი შემადგენლობის უმრავლესობაში.

13. საექსპერტო კომისია მისი დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდიუმს წარუდგენს განსახილეველად სათანადო მასალას კონკურსის ჩატარების თაობაზე.

14. საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება საექსპერტო კომისიის მასალების შემოსელიდან ერთი თვის განმავლობაში მოისმენს საექსპერტო კომისიის რეკომენდაციას და კენჭს უყრის პრემიის მოსაპოვებლად შემოსულ ყველა ნაშრომს.

15. შორმების განხილვა ხდება საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს ლია სხდომაში საჯაროდ საექსპერტო კომისიის წევრების დასწრებით. განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს. განცხადება საპრემიი ნაშრომების განსახილეველად გეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ გამოქვეყნდება პრესაში სხდომის მოწვევამდე ათი დღით ადრე და დაეგზაგნებათ საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების ყველა იურიდიულ (კოლექტურ) წევრორგანიზაცია-დაწესებულებასა და კონკურსში მონაწილე პირებს.

16. საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პრემიის მინიჭების შესახებ, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა სიობრივი შემადგენლობის ორი მესამედი მაინც.

სამეცნიერო საბჭო ოლიმპიულ საკითხზე გადაწყვეტილებას იფრთხილი და კენტისყრით.

პრემია მიენიჭება იმ ნაშრომს, რომელიც მიიღებს სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, მაგრამ საბჭოს სიობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.

თუ კენტისყრიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ეწყობა მეორე ტური, რომელშიც დამვება მხოლოდ ის კანდიდატები, რომელთაც კონკურსის პირველ ტურში მიიღეს თანაბარი გამსვლელი ხმები.

17. საქართველოს გეოლოგური საზოგადოება რეპუბლიკის პრესაში აქვთ შემთხვევას სათანადო ცნობას პრემიის მინიჭების შესახებ.

18. პრემიით დაჯილდოებულ შრომის ავტორს მიეცემა ფულადი ჯილდო საწარმოო გაერთიანება „საქეოლოგიის“ სახსრებიდან, ხოლო დიპლომი, დადგენილი ნომერის მიხედვით, ავტორს გადაეცემა გეოლოგის საკავშირო დღის სამით მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე.

19. პრემიირებული ნაშრომის მასალები ინახება საქართველოს გეოლოგური საზოგადოების არქივში.

ნაშრომები, რომელთაც არ მიენიჭათ პრემია, ავტორებს არ უბრუნდებათ.

91 სსრ კავშირის მინისტრთა საგაოოს 1988 წლის 18 ივნისის № 759 დადგენილებასთან დაკავშირდებით საჩართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა და სამართლებრივი მინისტრის მინისტრობის შესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით და „სათბობენერგეტიკული კომპლექსისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის საკითხებზე“ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაქარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 759 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენების:

1. ძალადაქარგულად ჩათვალის საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი სათბობენერგეტიკული კომპლექსისა და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის საკითხებზე. № 1-3 თანდართული ნუსხების თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 759 დადგენილებით ძალადაქარგულად ჩათვალა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ოქტომბრის № 1140 დადგენილება „ცემენტის ქარხებში ნედლეულის, სათბობისა და ცემენტის დანაკარგის შემცირების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 ნოემბრის № 904 დადგენილებით;



— მე-8 პუნქტის პირველი აბზაცი, მე-9 პუნქტი, მე-14 პუნქტის პირველი აბზაცი და მე-16 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 10 ოქტომბრის № 790 დადგენილებისა „მოქალაქეთა კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 მარტის № 176 დადგენილებით:

მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 აგვისტოს № 688 დადგენილებისა „სათბურების ასაწყობი კონსტრუქციების სამრეწველო წარმოების მოწყობის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 552 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ო. ჩირავიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ხ. რიგვავა

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აგვისტო, № 399

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 29 აგვისტოს № 399
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა № 1

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაცარგული გადაწყვეტილებებისა
სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის საკითხებზე

1. მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 თებერვლის № 63 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში ელექტრომომარაგების სამიზნოობის მაღლებისა და ელექტროენერგიის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 მარტის № 184 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ“.

3. მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 1 აგვისტოს № 434 დადგენილებისა „საცხოვრებელი სახლების ელექტროენერგების სიმძლავრის გადილების შესახებ“.

დამტკიცირებულის წელში
საქართველოს სსრ მინისტრის მიერ
1988 წლის 29 აგვისტოს № 399
დადგინდებით

ნ უ ს ხ ა № 2

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა ნედ-
ლეულის მრეწველობის დარღებისა და ქიმიურ-ხატუეო კომპლექსის
საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1216 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში შევი ლითონების ჯართის შეგროვების, გადამუშავებისა და გაგზავნის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 16 აგვისტოს № 1030 დადგენილება „ხე-ტყის დამამზადებლებს შორის სამასალე მერქნის შეშახე გადაცელის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 16 დეკემბრის № 1748 დადგენილება „მოსახლეობისათვის მისაყიდალ ავეჯის წარმოების გა-
დიდების ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 მარტის № 261 დადგენილება „საქართველოს სსრ 1951 წლის ტყესაკაფის ფონდის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის № 727 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ფორადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 სეტემბრის № 1514 დადგენილება „საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინის-
ტროს ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების წარმოებითს საქმიანობაში არ-
სებულ ნაკლიანებათა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 ოქტომბრის № 1630 დადგენილება „მეორეული ნედლეულის დამზადების გადიდების შე-
სახებ“, მე-12 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცის გარდა.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 15 აგვისტოს № 1067 დადგენილება „ტყესაცავი ზოლების გაშენების სამუშაოების შესრულების შესახებ“ სსრ კაშმირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 აგვისტოს № 2040 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 ნოემბრის № 1569 დადგენილება „მოსახლეობისათვის მისაყიდალ ავეჯის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ივნისის № 415 დადგენილება „უკრაინის სსრ შევი მეტალურგიის ქარხებში საწარმოო პრო-



ცუსთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარების მიზანის ღონისძიებათა შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 დეკემბრის № 861 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შევი და ფერადი ლითონების დამატებითი რესურსების მოზიდვის, მათი გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომებისა და შევი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადების (ჩაბარების) 1961 წლის გეგმის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 მაისის № 276 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ხე-ტყის მასალის სამსახურის ვადების გადაღების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ნოემბრის № 700 დადგენილება „საქართველოს სსრ სპეციალური ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების დამზადება-გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 აგვისტოს № 498 დადგენილება „სამსხმელო წარმოებისათვის საჭირო საყალიბო და შემკერელი მასალების დამზადების ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და მათი წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

დაგთიღებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 29 აგვისტოს № 399
დადგენილებით

ნ შ ს ხ ა მ ა 3

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა მარქანაოსაშენებელ და სხვა სამრეწველო სამინისტროთა საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 28 აგვისტოს № 733 დადგენილება „საფეიქრო ნაწარმის განიავებისა და სამრეწველო მოხმარებისათვის მის ხარჯების უყაირათობის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 თებერვლის № 93 დადგენილება „ქსოვილების წარმოების დაგეგმვისა და აღრიცხვის წესის შეცვლის შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 მაისის № 387 დადგენილება „ბავშვთა სათამაშოების წარმოების გადიდების, მათი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 მაისის № 340 დადგენილება „საშენი ფაიფურის წარმოების გადიდების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 ოქტომბრის № 644 დადგენილება „შალისა და შალნარევი ჩვარეულის და ნაკუწის აღდგენილ მატყლად გადამუშავების გადიდების ზომების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 აპრილის № 249 დადგენილება „სოფლის მეურნეობისათვის 1962—1963 წლებში ტრაქტორებისა და მანქანების წარმოების გადიდების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილება „დაბალხარისხოვანი და გადასამუშავებლად გამოსაღევი არასტანდარტული ტყავნედლეულისა და ქურქ-ბეჭვეულის ნედლეულის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 ნოემბრის № 624 დადგენილება „იდგილობრივი საშენი მასალების წარმოების გადიდების ზომების შესახებ“.

9. მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მარტის № 165 დადგენილებისა „ნამუშევარი ნაეთობპროდუქტების შეგროვებისა და გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

10. 1-ლი პუნქტის ოცდამეოთხე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 66 დადგენილებისა „სამრეწველო პროდუქტების ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლების საქმეში მისი ატესტაციის როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 იანვრის № 9 დადგენილებით დამტკიცებული ცელილებების მე-2 პუნქტი.

12. მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მექმებე და მეშვიდე აბზაცები და „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 15 იანვრის № 24 დადგენილებისა „საშენი აგურის წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 31 იანვრის № 48 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 193 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

92 სსრ კავშირის მინისტრთა საბაონ 1988 წლის 21 ივნისის № 773 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გადაწყვეტილების და ძალადაკარგულად ჩათვლის „შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 ივნისის № 773 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) „შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით და „შრომისა და ხელფასის საკითხებზე“ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის „შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 ივნისის № 773 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩათვალის საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი შრომისა და ხელფასის საკითხებზე, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 21 ივნისის № 773 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა:

— მე-4 პუნქტი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 9 იანვრის № 30 დადგენილებისა „ზოოტექნიკური და ჰერერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 20 იანვრის № 51 დადგენილებით;

— 1-ლი პუნქტის მესამე და მეოთხე პარაცები, მე-2-5 პუნქტები, მე-8-14 პუნქტები, № 1 დანართი (გარდა მე-2 შენიშვნისა), აგრეთვე მე-6 პუნქტი თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ნაწილში და № 1 დანართის მე-2 შენიშვნა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილი ორგანიზაციების მიმართ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 391 დადგენილებისა „საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების მუშაკობა შრომის ანზღლაურების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 17 ივნისის № 348 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირქავია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

დამტკიცებულის

საქართველოს სსრ მინისტრთა სამსახურის
 1988 წლის 29 აგვისტოს № 401
 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაქარგული გადაწყვეტილებებისა შრომისა
 და ხელფასის საკითხებზე

1. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა სამსახურის 1948 წლის 30
 ივნისის № 838 დადგენილებისა „პრემიების ოდენობის ნაწილობრივ შემცირების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 12 აპრილის № 362
 დადგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში „ს-80“ მარკის ტრაქტორებზე მომუშავე ტრაქტორისტთა გამომუშავების ცვლის ნორმების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 13 სექტემბრის № 1230 დადგენილება „საქართველოს სსრ საპროექტო ორგანიზაციების მუშავთა თანამდებობრივი ჯამაგირებისა და სატარიფო განაკვეთების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 7 ოქტომბრის № 1392 განკარგულება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 ოქტომბრის № 938 დადგენილება „1954-55 წლის ზამთრისათვეის საავტომობილო გზების მომზადების შესახებ“.

6. მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 ოქტომბრის № 664 დადგენილებისა „ინვალიდებისათვეის საპროექტო-ორთოპედიული დახმარების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

7. მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 25 სექტემბრის № 680 დადგენილებისა „მმართველობის პარატის სრულყოფის, გაიაფებისა და რიცხოვნობის შემცირების ღონისძიებათა შესახებ“ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ნაწილში, რომელებიც გადაყვანილი არიან შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე სკუპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1986 წლის 17 სექტემბრის № 1115 დადგენილების შესაბამისად.

8. მე-3 პუნქტის მეთხუთმეტე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 5 მარტის № 140 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავისა და ტრიუფტაუის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში კადრების დამკვიდრების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 2 იანვრის № 7 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“.

93

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 758 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის „შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 758 დადგენილების „შესაბამისად და კანონმდებლობის სისტემატიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩათვლალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 18 ივნისის № 758 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩათვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 15 მაისის № 563 დადგენილება „შტატების დასამტკიცებლად მრეწველობის გაერთიანებების, სწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უფლებების გაფართოების შესახებ“, რომელიც დაგჭივნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 18 ივნისის № 477 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირქევია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ხ. რიგვავა

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 ავენიუ, № 400

დამტკიცებულების მიხედვით
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 29 აგვისტოს № 400
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაცარგული გადაწყვეტილებებისა
ფინანსებისა და შტატების ხაյითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 სექტემბრის № 1568 დადგენილება „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის სასტუმროებისა და ჩამოსულთა სახლების მუშაյთა ტიპობრივი შტატების და თანამდებობრივი განაკვეთების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 18 თებერვლის № 302 დადგენილება „საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 21 მაისის № 459 დადგენილება „სახალხო განათლების რაიონულ განყოფილებებში უფროსი ბუღალტრის თანამდებობისა და თანამდებობრივი განაკვეთების დაწესების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ოქტომბრის № 1315 განკარგულება.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 მაისის № 295 დადგენილება „არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაյთა ხელფასის ფონდის შემცირებისა და მისი ხარჯების მოწესრიგების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 დეკემბრის № 718 დადგენილება „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მირითადი ფონდების 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაისაცების შედეგების შესახებ“.

7. მე-18 და 29-ე პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 25 დეკემბრის № 629 დადგენილების „საქართველოს სსრ 1973 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 სექტემბრის № 525 დადგენილება „სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების საწარმოებში (ორგანიზაციებში) ნაკლები რაოდენობის დასაქმებული პერსონალით პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის მუშაյთა მატერიალური წახალისების წესის შემოლების შესახებ“.



94 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის დადგენილებათა დაპატიჟირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის ზესახებ

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სისტემაზე მიზნით და „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის საკითხებსა და ზოგიერთ სხვა საკითხზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის № 712 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იდგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის, აღრიცხვისა და ანგარიშების, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებზე, № 1-3 თანდართული ნუსხების თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 4 ივნისის № 712 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-2 პუნქტი, ავტოთვე 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანათსაანგარიში საღურებისათვის ცენტრალიზებული ბუღალტერიების სააღრიცხვო-საანგარიშებო დოკუმენტაციის დამუშავების დაკისრების ნაწილში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 იანვრის № 30 დადგენილებით;

— მე-7 პუნქტის მესამე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 ივნისის № 496 დადგენილებისა „1971-1975 წლებში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სახელმწიფო სისტემის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 27 სექტემბრის № 507 დადგენილებით;

— მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 59 დადგენილებისა „საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის სრულყოფისა და მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური დაკავშირების გამოყენების საქმეში მისი როლის ამაღლების ლონისძიებათა



შესახებ”, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საქართველოს შიგნითი წლის 15 პრილის № 282 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ჩირქევია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ს. 603333

ქ. თბილისი, 1988 წ. 29 აგვისტო, № 402

ଡାକଟିକ୍ ପତ୍ରର ଲଙ୍ଘନ
ଶାଖାକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଳିବାରେ କାହାରେ
କାହାରେ ମିଳିବାରେ କାହାରେ

6 7 6 6 5 № 1

საქართველოს სსრ მინისტრთა ხაბურა დალადაკარგული დადგენილებებისა
შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 4 სექტემბრის № 1213 დადგენილება „საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პალიტიკის მხატვრული გაფორმების ხარჯთაღრიცხვის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 30 აპრილის № 317 დადგენილება „აღრიცხვის, საპროექტო-სკონსტრუქტორო და საინჟინრო-ტექნიკურ სამუშაოთა მექანიზაციის შემთხვემი განვითარების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ოქტომბრის № 589 დადგენილება „იმ საწარმოთა დაპროექტებისა და მშენებლობის წესის შესახებ, რომლებიც შენდება უცხოეთის ლიცენზიებით და კომპლექტური სამ-პორტო მოწყობილობის ბაზაზე“ სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფალუტო ფონდების ხარჯზე კომპლექტური იმპორტული მოწყობილობის, ტექნოლოგიური პროცესების, ლიცენზიებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესყიდვის ნაწილში.

4. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 18 დეკემბრის № 627 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში რეინიცური ესთოტიკის მიღწევების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 ოქტომბერის № 63 დადგენილება „სამრვარგარეთ საბჭოთა ლიცენზიების გაუძვის, უცხოოთის ლიცენზიებისა და ახალ ნაკეთობათა ნიმუშების შესყიდვის გაუმჯობესების და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების ზომების შესა-



ხება“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 27 ივლისის № 18460 დოკუმენტის შესაბამისად საზღვარგარეთთან პირდაპირი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის განხორციელებისას ლიცენზიების გაყიდვის, იგრძელვე უცხოური ლიცენზიებისა და აზალნაკეთობათა ნიმუშების შესყიდვის ნაწილში სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სავალუტო ფონდების ხარჯზე.

დამტკიციბულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1988 წლის 29 ივნისტოს № 402 დალგენილებით

ნ უ ს ხ ა № 2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა აღრიცხვა-ანგარიშების საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 მარტის № 152 დადგენილება „მშენებლობისათვის ტვირთის გაღზიდვის ხარჯების შემცირებისა და საშენი მასალების შენახვისა და ხარჯის მოწევსრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 მაისის № 317 დადგენილება „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 20 სექტემბრის № 647 დადგენილება „მატერიალური რესურსების ხარჯვისა და ეკონომიკის აღრიცხვა-ანგარიშების გაუმჯობესების შესახებ“.



დაგთვიცებულის წლის 20 იანვრის
საქართველოს სსრ მინისტრის მიერთების
1988 წლის 29 აგვისტოს № 402 დადგი-
ნილებით

ნ უ ს ხ ა № 3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა
რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა
საქმიანობის საკითხებზე

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 ივნისის № 481 დადგენილება სავტომობილო ტრანსპორტზე შესრულებელ სამუშაოთა მინისტრებისა და სავტომობილო ბენზინის დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 ივნისის № 376 დადგენილება „1962-1965 წლებში საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფა-ცხოვრებო საჭიროებისათვის გათხევადებული გაზის გამოყენების გაფართოების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 11 ივნისის № 485 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 13 ივნისის № 481 დადგენილების შესრულების მიმღინარეობის შესახებ“.

4. მე-4 პუნქტის მეორე აზიაცი, მე-10 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი, აგრეთვე მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 24 დეკემბრის № 698 დადგენილება „ადგილობრივი მრეწველობისა და სამხატვრო სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

5. მე-10 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილებისა „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნალური შეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

6. მე-10 პუნქტის მერვე და მეცხრმეტე აზიაცები, აგრეთვე ამ პუნქტის მესამე, მეოთხე და მეხუთე აზიაცები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადაყვანილ საწარმოთა, გაერთიანებათა და ორგანიზაციათა ნაწილში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ოქტომბრის № 533 დადგენილებისა „ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 იანვრის № 36 დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალურების განვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.



8. մյ-11 პუնქტու „ա“ վեցշունքիուս մյոտեց ածիալու սայարտության միջնութեա սածքու 1974 թլու 18 օանվրու Նե 22 դագցենուղեծուս „սարցութեա սացըրումոնծուլու թրաննեռուրու վամուցնեծուս ցայմիչուցեցեծուս դամարեցու լունունծուցեա թեսաեցն“ օմ պուղեցեծուս նախուղմու, հոմլուցուց ցատցալուսինունցուլուա սկզբ ցենթրալուրո կրմուրուրուս դա սար կայմուրու մոնութեա սածքու 1968 թլու 5 օցուստու Նե 598 դագցենուղեծուս մյ-14 პუնկտու „ա“, „թ“ դա „թ“ վեց պունքտուցեծուտ.

9. մյ-3 პუնկտու „ա“ վեցշունքիու, մյ-17 პუնկտու „ա“ վեցշունքիուս մյորու դա մյոտեց ածիալուց դա „թ“ վեցշունքիու սայարտուցելու սար մոնութեա սածքու 1977 թլու 9 նույնուրու Նե 748 դագցենուղեծուս „սացըրումոնծուլու թրաննեռութեա թուրութուս ցադանուցու գրուս թամարեցեցուտան, պարունոնծուլու ծենչունուս դա սեցա սաթցա-սապուր մասալուցու ցանյարցեցուտան դա դարձաւրեցուտան ծրճուլուս ցալուրուցուս դա պարուցասթյունու սացցուրեցուս մուշանուս ցայմիչուցեցեծուս լունունծուցեա թեսաեցն“.

10. մյ-2 პუնկտու սայարտուցելու սար մոնութեա սածքու 1981 թլու 5 մայուս Նե 320 դագցենուղեծուս „րյուսպութլուցուր սամոնութեա թուրութու պարունուրու սաթցարմուցնու օգուլոնծուրու նուգուցուլուս դա նարինցունուսացան սահալեա մոեմարեցուս սայոնլու թարմուցուս թեմգումու ցանցուտարեցուս լունունծուցեա թեսաեցն“.

11. մյ-3 პუնկտու սայարտուցելու սար մոնութեա սածքու 1985 թլու 17 ռյունմինու Նե 657 դագցենուղեծուս „սայարտուցելու սար րյուսպութլուցուրու դայցեց լուցուցեծուս մուրեթցուլոնուս օմ սամոնութեա թուրունու մոյր մոսակլուրունուսաւցուս ցաթցուլու ցամունու մոմիսակցուրեցուս ցայտարուցուս լունունծուցեա թեսաեցն, հոմլուցուտցուսաց ամ մոմիսակցուրեցուս ցաթցա մորուտալ սայմունոնաս առ թարմուացցենս“.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 4, 1988 წელი

କୁଆଣ୍ଡିଆର୍ଥାଳୀଙ୍କ: ଡେଫାର୍ମଟିଵାଲ୍‌ଗ୍ରେନ୍‌ଜ୍ୟାଲ୍‌ସିଟି ଶରୀର ମନୋକାରତା ସାହାର୍ଦ୍ଦିତ ସାହାର୍ଦ୍ଦିତ ସମାଜବିନ୍ଦୁକାରୀ

ხელმოწერილია დასტურებულ 2/ქ/1-88 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/16.
საბეჭდო თაბაბი 4,5, სალრიცხვო თაბაბი 4,5.

შლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.